ოქმი №6

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობაშის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 25 ივლისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები - ირაკლი კალანდარიშვილი, ინგა ქარდავა, ზაზა ნაჭყებია, მანანა გვიჩია, ბადრი ხურცია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: რ. კუპრეიშვილი.
სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2025 წელს პირველი და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

წარმოდგენილ დღის წესრიგს ეყარა კენჭი (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0), სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა შეუდგა მუშაობას წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2025 წელს პირველი და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2025 წელს პირველი და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.
ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2025 წელს პირველი და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

აზრი გამოთქვეს: მ. გვიჩიამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ დადგენილების პროექტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ საბჭოს წევრთა რაოდენობა ნაცვლად თვრამეტისა განისაზღვოს 21 წევრით.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დადგენილების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N15 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ცვლილების გათვალისწინებით, წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ირაკლი კალანდარიშვილი